

„ყოჩაღ, ბატონო ლადო!“

რისთვის აქვს ლადო პაპავა პრემიერ-მინისტრს?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 28 აპრილი–4მაისი, № 17, 2008

საქართველოს ხელისუფლებამ არ იცის, ევროობლიგაციების სახით სესხად აღებული 500 მილიონი დოლარის უმეტესი ნაწილი რაში უნდა დახარჯოს, უფრო სწორად, იცის, მაგრამ არ ამჟღავნებს. აქედან 150 მილიონი, გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, დაკარგული ტერიტორიების სარეაბილიტაციოდ გასაღები. როგორც ეკონომიკის პროფესორი და პარლამენტარი ლადო პაპავა აცხადებს, ამის გამო, სულ მცირე, დღის წესრიგში გურგენიძის მთავრობის ნდობის საკითხი მაინც უნდა დადგეს.

– ბატონო ლადო, სანამ გურგენიძისა და სააკაშვილის ეკონომიკურ ფილოსოფიაში შევცურავთ, ცოტა წავიჭორაოთ... ავი ენები ამბობენ, პაპავა იმ საარჩევნო სიაში იყო, რომელიც ბურჯანაძემ სააკაშვილს წარუდგინაო.

– არა, ეგ სრული სიცრუეა, „ნაციონალებში“ ერთხელ უკვე ვიყავი და იქ შესვლას აღარ ვაპირებ.

– არც შემოთავაზება გქონიათ?

– შემოთავაზება რამდენიმე ოპოზიციური პარტიიდან მქონდა, მათ შორის რესპუბლიკელებისგან, რომლებსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ გასაგებად აუუხსენი, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკაში დარჩენას არ ვაპირებ. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მას თავისი პარტია არა აქვს, თუ შემომთავაზებდა, სიაში „ნაციონალების“ ეგიდით უნდა ჩავესვი. მე მგონი, საზოგადოება ცოტა სხვანაირ კაცად მიცნობს, ეს რომ გავაკეთო, მაშინ საკუთარი თავის პატივისცემა უნდა დაეკარგო. ქალბატონ ნინოს საკუთარი პარტიაც რომ ჰქონდეს, მაინც უარს ვიტყვდი, მისი მუშაობის სტილი ჩემთვის მიუღებელია.

– ასეთი რა სტილი აქვს, რომ მასთან მუშაობის სურვილი აღარ გაქვთ?

– ყველას თავისებური სტილი აქვს... ყოველ შემთხვევაში, მე, ლადო პაპავას პარლამენტში ყოფნისას არასოდეს მიგრძენია, რომ საჭირო ვიყავი. არც ერთ კონსულტაციას, რომელიც ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა და ბურჯანაძის ეგიდით იმართებოდა, არ დავსწრებივარ, იქ არავის მივუწვევივარ.

– არადა, თქვენ ბურჯანაძის გუნდის წევრად ითვლებოდით.

– დიახ, მისი გუნდის წევრად ვითვლებოდი, მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დავჭირვებოვარ. მიუხედავად ამისა, ჩვენი პირადი ურთიერთობა მაინც ნორმალური იყო, ეკონომიკურ საკითხებზე ხშირად ვსაუბრობდით.

– ესე იგი, საუბრობდით, მაგრამ საიდუმლო სხდომებზე არ გიწვევდათ.

– მე პოლიტიკურ თემებზე არ ვლაპარაკობ, როდესაც ისინი ეკონომიკურ საკითხებს იხილავდნენ, პაპავა არასოდეს გახსენებიათ.

– პოლიტიკიდან წასვლა რატომ გადაწყვიტეთ, თქვენ ხომ ერთადერთი ეკონომისტი იყავით პარლამენტში, რომელიც ატამს, ტყემალს და ინფლაციას ერთმანეთისგან კარგად არჩევდა?

– მოდი, იმედი ვიქონიოთ, რომ არჩევნების შემდეგ მთავრობაში სერიოზული ცვლილებები მოხდება და ატამს ინფლაციისგან გაარჩევენ.

– ღმერთმა ქნას, თუმცა, მე ეჭვი მეპარება.

– მაგ მხრივ დიდი ოპტიმისტი არც მე გახლავართ, მაგრამ როგორც ილია ჭავჭავაძემ თქვა: „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ისე, მე ამ ეტაპზე მივდივარ პოლიტიკიდან, თორემ თუკი ხელისუფლების სათავეში ეროვნული, ქვეყნის მოყვარული ადამიანი მოვა, რომლის სიტყვასაც ფასი ექნება, ისევ დავბრუნდები. მოდი, ერთ შეკითხვას დაგისვამთ: როდესაც დეპუტატი აღარ ვიქნები, ჩემთან ინტერვიუს ასაღებად აღარ მოხვალთ?

– აუცილებლად მოვალ.

– ჰოდა, მაინც და მაინც პარლამენტში უნდა ვიჯდე, რომ ამ ქვეყნის პრობლემებზე ვისაუბროთ? ვინაიდან მწვერალი ჟურნალისტები უფრო მეტს ფიქრობთ, იმედი მაქვს, საგაზეთო ტრიბუნა მაინც მექნება. კარგად გამიგეთ, ჩემს სათქმელს ყველგან ვიტყვი, პარლამენტში ტყუილად ჯდომა აღარ მინდა. რაც მე ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე და ეროვნულ ბანკზე ვიყვირე, ვინმემ გაიგო? ვინმემ გაითვალსწინა? ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც უნდოდათ.

– ამბობენ, ლადო გურგენიძეს განცხადება უკვე დაწერილი აქვს, თანამდებობიდან მიდისო, ამის შესახებ ხომ არაფერი იცით?

– არა, როდესაც უმრავლესობაში ვიყავი, კულუარული რაღაც-რაღაცები მაშინაც კი არ ვიცოდი.

– ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თქვენ გურგენიძეს ბრალს სდებთ იმაში, რომ ქვეყანას ნახევარმილიარდიანი ვალი წამოჰკიდა.

– გურგენიძეს ბრალს კი არ ვდებ, უბრალოდ მიჩნდება კითხვა: სახელმწიფომ ამხელა სესხი, ანუ 500 მილიონი დოლარი რისთვის აიღო? როდესაც ბანკში მიდიხართ, პირველ რიგში, რას გეკითხებიან, ფული რისთვის გჭირდებათო, ხომ? ვინაიდან გურგენიძის მიერ აღებული ვალის გასტუმრება ჩვენი ჯიბეებიდან უნდა მოხდეს, ამ შეკითხვის დასმა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

– კი, ბატონო, შევეკითხოთ გურგენიძეს, ის რას ამბობს?

– აი, სწორედ ეს გახლავთ დიდი უბედურება, მთავრობას ამაზე პასუხი არ გააჩნია. როდესაც თებერვალში გურგენიძემ „პრაიმტიმის“ საშუალებით ვრცელი მონოლოგი მოგვიძღვნა, გასაგებად თქვა: ევროობლიგაციებიდან შემოსული ნახევარი მილიარდი დოლარით გაზსაცავი და მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზები უნდა ავაშენოთო. ახლა, ამ პროექტების განხორციელების აკარგიანობაზე ნუ ვიმსჯელებთ, ეს ცალკე თემაა. გადის დრო, უკვე მარტია, პარლამენტში ვიხილავთ 2008 წლის ბიუჯეტს, სადაც ამ ობლიგაციების კომპონენტები გაჩნდა და ტრიბუნაზე მყოფ ფინანსთა მინისტრს, ნიკა გილაურს ვეკითხები: ეს ფული რაში გეჭირდება-მეთქი? პასუხი ასეთი იყო – ჩვენ ამ თანხით „მომავალი თაობებისა“ და „სტაბილური განვითარების“ ფონდები უნდა შევქმნათო.

– „მომავალი თაობების ფონდი“ რას ნიშნავს, ორსული ქალები უნდა დააფინანსონ?

– ამ ფონდში ჩარიცხული თანხების ნაწილი დროებით დაკარგული ტერიტორიების რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე დაიხარჯება.

– კარგად ამიხსენით, სახელმწიფომ ამხელა ვალი დაკარგული ტერიტორიების რეაბილიტაციისთვის ახლა აიღო?

– ეს ფონდი სპეციალურად ამისთვის შეიქმნა.

– კი, მაგრამ ჯერ ხომ ტერიტორიები არ დაგვიბრუნებია?

– ამ მთავრობას თავში რაც შეუფრინდება, იმას იძახის. ბოლო-ბოლო, თუ ესენი ერთი გუნდის წევრები არიან, ერთნაირად მაინც არ უნდა ილაპარაკონ? ბოლო ინფორმაციის თანახმად, 150 მილიონი დოლარი წავა „მომავალი თაობების ფონდში“, 100 მილიონი – „სტაბილური განვითარების

ფონდში“, ხოლო 250 მილიონზე ჯერ ფიქრობენ, ეს საკითხი არ გადაგვიწყვეტიაო. გესმით, საქმე რასთან გვაქვს?

– იმასთან გვაქვს, ბატონო ლადო, რომ არჩევნები კარს არი მომდგარი.

– მთავრობა, რომელიც ხალხის სახელით ახალ ვალს იღებს და მკაფიოდ არაფერზე ლაპარაკობს, ბევრ რამეს გვიმაღლავს, ქვეყანას არ უნდა მართავდეს.

– ბოლო დროს ფოთში ხომ არ ყოფილხართ?

– არა, უნდა ვყოფილიყავი?

– მაინტერესებს, ცათამბჯენები უკვე აშენდა?

– ფაქტი ის არის, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა ის ფენომენი იქნება, რომელიც ფოთს განავითარებს, ხალხს კომფორტს შეუქმნის, მაგრამ დანარჩენი საქართველოს ეკონომიკას დაანგრევს. სიმართლე გითხრათ, ეს დანაშაულის ტოლფასი შეცდომაა.

– დანაშაულის არსი კონკრეტულად რაში მდგომარეობს?

– საქართველოში არის ინვესტიციური შიმშილი, ჩვენ უცხოურ ინვესტიციებს კი ვიზიდავთ, მაგრამ როგორ გგონიათ, იგივე უცხოელი და ქართველი ბიზნესმენები იქ არ გადაინაცვლებენ, სადაც უფრო მეტი ლიბერალიზმი და შეღავათებია? მაგალითად, ნორმალური მეწარმე ფულს რუსთავში ან ქუთაისში რატომ ჩადებს, როცა ფოთი არსებობს? მეტსაც გეტყვით, თავისუფალ ეკონომიკურ ზონასთან დაკავშირებული კანონის მიღებამდე „სავალუტო ფონდმა“ ტაბახმელაში ჩაატარა დასურული სემინარი, რომელსაც მინისტრები, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები და პოლიტიკური ლიდერები ესწრებოდნენ. მათ ჩვენს მთავრობას აუხსნეს, რომ ინვესტიციური შიმშილის პირობებში ასეთი მოდელის შემოღება გამართლებული არ არის. თუმცა, როგორც ხედავთ, ყველაფერი ამო ადმოჩნდა.

– იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ორივე ხელს ყველგან აფათურებს, როგორ შეიძლება, რომელიმე რეგიონი აყვავდეს? აგერ, „კოკა-კოლაც“ კი, რომელიც წარმატებულ ბიზნესად ითვლებოდა, უკვე ნიჩაბზე დადეს.

– ჩემი ინფორმაციით, „კოკა-კოლა“ ცოტა ადრეც კი იყო ნიჩაბზე დასადები.

– რატომ?

– ამაზე მეტს ვეღარ ვიტყვი, ეგ თემა თავიდანვე ურთულესი იყო.

– ისე, თქვენ ბევრი გეცოდინებათ, იმ პერიოდში ეკონომიკის მინისტრი იყავით, თურქული სესხი, რამე...

– არა, ეგ ჩემამდე იყო, მაგრამ ახლაც არ ვიცი, ის 5 მილიონი დოლარი გადახდილია თუ არა.

– „კოკა-კოლას“ ხელში ჩაგდებას თურქული კომპანია „ეფეს პილსენი“ ცდილობს, შარი სწორედ იმ ვალიდან ხომ არ მოდის, რომელიც თავისდროზე თემურ ჭყონიამ აიღო?

– დეტალურად ვერაფერს გეტყვით... როდესაც 1993 წელს საქართველომ თურქეთისგან 50 მილიონი დოლარი სესხი აიღო, აქედან 45 მილიონი სად გაქრა, კაცმა არ იცის, ხოლო 5 მილიონი აიღო იმ ფირმამ, რომელმაც „კოკა-კოლა“ თბილისში შემოიყვანა. მართალია, ეს ფირმა ყოველთვის წარმატებულად ითვლებოდა, მაგრამ სახელმწიფოს ვალს არ უბრუნებდნენ და ყოველთვის რაღაც პოლიტიკური გარიგებები ხდებოდა. მე არც ერთ კომპანიას ცუდს არ ვუსურვებ, მაგრამ სულაც არ მიკვირს, რაც „კოკა-კოლას“ თავს ხდება. ამ ფირმის საფუძველი ყოველთვის პოლიტიკური ფონი იყო და არა ეკონომიკური. ახლა შემიძლია, შეგახსენოთ მისი უსტაბაშის მიერ 2002 წელს გაკეთებული განცხადებას – კონსტიტუციაში ცვლილებები შევიტანოთ, რათა შევარდნაძე მესამე ვადითაც ავირჩიოთო. ხოლო ნოემბრის დღეებში ერთი ამბავი ატეხა, ქვეყანაში ინვესტიციები არ შემოვა, დავიღუპებითო. ჩვენთან არის კომპანიები, რომლებიც წარმატების მიღწევას ხელისუფლებასთან ჩახუტებით ცდილობენ. მაგალითად, ახლა რამდენიმე ბანკსა და სამშენებლო ფირმას მთავრობის მხარდაჭერა რომ გამოვაცალოთ, ყველა ხუხულასავით დაიშლება, გვარებს არ დავასახელებ.

– ბატონო ლადო, საარჩევნო პერიოდში, როცა ხელისუფლება ფულის მასას ბლომად დახარჯავს, ინფლაციის აწევას კიდევ უნდა ველოდით?

– როგორ გგონიათ, ახლა რომ 12 პროცენტს გვიფიქსირებენ, ეს სიმართლეა? თუკი ჩვენ სტატისტიკის დეპარტამენტის სტილს გავითვალისწინებთ, ამჟამად ქვეყანაში ინფლაციის დონე 18 პროცენტია. მართალია, სააკაშვილს აქცენტი საგარეო ფაქტორებზე გადააქვს, მაგრამ მთავრობის პოპულისტური ხარჯებიც დიდ როლს თამაშობს. თუმცა ერთი სასიამოვნო ფაქტი მაინც გამოიკვეთა – როგორც გავიგე, ე.წ. დასაქმების პროგრამები აღარ იქნება. ამ შემთხვევაში გურგენიძეს ვაქვებ: ყოჩაღ, ბატონო

ლადო! რაც შეეხება ზემოთ ნათქვამს, ამის გამო პარლამენტში მთავრობის
ნდობის საკითხია დასაყენებელი.

გელა ზედელაშვილი